

ON THE SIMILARITIES AND DIFFERENCES OF DIALECTS IN ZAN

დიალექტთა მსგავსება-განსხვავების შემთხვევისათვის ზანურში

Vianor Akhalaia

Doctor of Philological Sciences,
 Professor of Gori State University,
 Gori, Chavchavadze st., No53, 1400, Georgia,
 +995 577 25 12 15, V.Akhalaia@hotmail.com
<https://orcid.org/0009-0002-3654-5208>

Abstract. In the Chan-Mingrelian linguistic literature, the term *Zan* has become established, while today it is also referred to as *Colchian*. Chanuri (Laz) and Mingrelian are considered dialects of a single language, Zan (Colchian). At the beginning of our era, the Laz and Mingrelian peoples still maintained territorial unity. According to Iv. Javakhishvili, this was the case in the 1st–2nd centuries. Later, one of the Georgian tribes penetrated into the middle region, separating the Mingrelians and the Chans. Naturally, their linguistic interaction ceased, and their development followed independent paths.

Despite the significant political and cultural influence of Byzantium and Turkey on Chanuri, the process of mutual influence between the Georgian and Zan linguistic spheres never slowed. This was facilitated by both the territorial proximity and close cultural-economic ties of the Georgian tribes, as well as the unity of the Kartvelian linguistic world and the long historical path of national consolidation. It should also be noted that the unity of linguistic norms brings together Mingrelian and Chanuri. Therefore, they are dialects of a single language.

Keywords: Zan, Colchian, Chanuri, Laz, Mingrelian, Sheni, Shakis, Rakhants, Ni, Na.

ვიანორ ახალაია

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
 გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,
 ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ., No53, 1400, საქართველო,
 +995 577 25 12 15, V.Akhalaia@hotmail.com
<https://orcid.org/0009-0002-3654-5208>

აბსტრაქტი. ჭანურ-მეგრული საენათმეცნიერო ლიტერატურაში ზანურის სახელწოდებით არის დამკვიდრებულ იმ დღეს მას კოლხურსაც უწოდებენ. ჭანური (ლაზური) და მეგრული ერთი ენის ზანურის (კოლხურის) დიალექტადაა მიჩნეული. ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისში ლაზებსა და მეგრელებს ჯერ კიდევ ჰქონდათ შენარჩუნებული ტერიტორიული მთლიანობა. ივ. ჯავახიშვილის თვალსაზრისით ასე იყო I-II საუკუნეებში. შემდეგ ერთ-ერთი ქართველი ტომთაგანი შიგ შუაგულში შეიჭრა და მეგრელები და ჭანები ერთ-ერთმანეთს დააშორა. ბუნებრივია მათი ენობრივი ურთიერთქმედება შეწყდა და განვითარება დამოუკიდებელი გზებით წარიმართა.

მიუხედავად იმისა, რომ დიდი იყო ბიზანტიისა და თურქეთის პოლიტიკური და კულტურული გავლენა ჭანურზე, ქართულ-ზანურ ენა-კილოთა ურთიერთგავლენის

პროცესი არასოდეს შენელებულა. ამას განაპირობებდა ქართველ ტომთა როგორც ტერიტორიული ახლობლობა და კულტურულ-ეკონომიკური მჭიდრო კავშირი, ისე ქართველური ენობრივი სამყაროს ერთიანობა და ეროვნული კონსოლიდაციის ხანგრძლივი ისტორიული გზა. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ლინგვისტურ ნორმათა ერთობა აერთიანებს მეგრულსა და ჭანურს. ამიტომ არიან ისინი ერთი ენის დიალექტები.

საკვანძო სიტყვები: ზანური, კოლხური, ჭანური, ლაზური, მეგრული, შენი, შაქის, რახანც, ნი, ნა.

შესავალი. თანამედროვე ჭანურს ახასიათებს ძლიერი დიალექტური დიფერენციაცია. ამაზე მიუთითებდა არნ. ჩიქობავა და სრულიად სამართლიანად აყენებდა საკითხს ყოველი ჭანური სოფლის მეტყველების საგნებად შესწავლის აუცილებლობის შესახებ (ჩიქობავა, 1936:9).

ჭანურში ძირითადად ოთხი კილოკავი გამოიყოფა: ხოფური, ვიწური, არქაბული, ათინური. ამის მიუხედავად, მკვეთრი საზღვრის დადგენა ამ კილოკავებს შორის ჭირს (ქუთელია, 2005:9). მთელი რიგი ფონეტიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური ტენდენციები ერთად ახდენს ინტეგრაციას იმ მთელის გარშემო, რომელსაც ჰქვია ჭანური (ლაზური), ხოლო მეგრულთან ერთად ზანური (კოლხური).

ჩვენ შეძლებისდაგვარად წარმოგიდგინთ მათი სიახლოვისა და ერთგვარი დაშორების ერთ კონკრეტულ შემთხვევას, კერძოდ, მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების გადმოცემას ზანურში.

მეთოდი. გამოყენებულია საილუსტრაციო მასალის ლინგვისტური ანალიზი და სისტემატიზაცია, აღწერისა და შედარება-შეპირისპირების მეთოდი, სტრუქტურული კვლევა, სამეცნიერო ლიტერატურის შესწავლისა და გააზრების საფუძველზე მიღებულია სათანადო შედეგები.

შედეგები და მსჯელობა. არნ. ჩიქობავა წერს - „ჭანურში „რადგანაც“ კავშირის მაგივრობას -შენი ეწევა“ (ჩიქობავა, 1936:186). იქვეა სათანადო საილუსტრაციო მასალა:

ამმა მციქა ექსილი-ნა ტუ-შენი, ვიტოხუთ ფარა ნუტკოჩუ (ჩიქობავა, 1936:18) „მაგრამ რადგან ცოტა აკლდა, ამიტომ თხუთმეტი ფული მიუგდო“.

ბერე კითხერი-ნა ტუ-შენი, ჭურუნჯის ვარ მალერდინუ (ჩიქობავა, 1936: 19), „რადგანაც ბავშვი ნასწავლი იყო, მეფურნემ ვერ მოატყუა“.

ამ რიგის ნიმუშებში -ნა „რომ“ კავშირი-ნაწილაკია, რომლის ფუნქცია დაჩრდილულია -შენი კავშირის მნიშვნელობის მქონე ელემენტის დართვით; ზოგჯერ კი პირუკუა -შენი-ს ფუნქციაა დაჩრდილული. მაგ.: ზემოთ მოყვანილი ბოლო წინადადება ნაწყვეტია შემდეგი სრული წინადადებისა (ჩიქობავა, 1938: 360). ბერე კითხეი ვა რტუ-კონ-ნა, მოლორდას -უნტუ, ჰამმა ბერე ჰკითხერი-ნა ტუ-შენი, ჭურუნჯის ვარ მალერდინუ (ჩიქობავა, 1936:1) „ბავშვი რომ ნასწავლი არ ყოფილიყო, მოტყუვდებოდა, მაგრამ იმიტომ, რომ ბავშვი ნასწავლი იყო, მეფურნემ ვერ მოატყუა“.

აქ, „მაგრამ იმიტომ, რომ ბავშვი ნასწავლი იყო“, ზუსტად ასე გადმოიცემოდა: „მაგრამ რადგანაც რომ (-შენი, „რადგანაც“, -ნა, „რომ“) ბავშვი ნასწავლი იყო“.

-შენი „რასდგანაც“ როცა ხმნურ ფორმებს დაერთვის, ჩვენი მაგალითების მიხედვით, მასთან ერთად სხვა კავშირ-ნაწილაკებიცაა:

-ნა - -შენი

ოხორჯას ბაშქა ბერე-ნა ვა უყოუნტუ-შენი, ემუშ ჟინ თირთინტუ, ... (ჩიქობავა, 1936:77), „რადგანაც (ზედმ. „რადგანაც რომ“) ქალს სხვა ბავშვი არ ჰყავდა, მას ზედ დაჰკანკალეზდა“.

მზოლა დიდი-ნა რენ-შენი, მატორი (!) გალე ვა გააღენ... (ჩიქობავა, 1936: 146) „ზღვა რადგანაც ლელავს (ზედმ. „ზღვა რადგანაც რომ დიდია“), ნავი ნაპირზე ვერ გამოვა“.

მეჭკირუში ვახთის მუქ-ნა ვა იძირუ-შენი, მჩხუი ვა ისალუ (ჩიქობავა, 1936:2) „მოჭრის (ზედმ. „დაკვლის“) დროს რადგანაც თვითონ რომ არ იყო, ცხვარი არ გაცოცხლდა“.

რაკი „-ნა და -ის/-სი ნაწილაკების გარდა, ყველა სხვა ნაწილაკი სახელებსაც დაერთვის ბრუნვის ნიშნად და თანდებულად. ნაწილაკებს, რომლებიც ბრუნვის ნიშნად თუ თანდებულად გვხვდებიან ჭანურში, განეკუთვნება -შა, -შენი, -შაქის. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს სამი უკანასკნელი „მეგრულ ზმნას არ დაერთვის“ (ჩიქობავა, 1936: 186).

-შენი „რადგანაც“, „რადგან“ კავშირის ნაცვლად მეგრულში დასტურდება ქართულიდან შემოსული რადგან კავშირის ფონეტიკური ვარიანტები რადგანას//რადგანს//რადგანანც//რადგანც//რადგან//რადგანც//რახანგ//რახან//რადან... ყველა ეს კავშირები იხმარება მიზეზის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებებში (აბესაძე, 1965:250).

ასეთი დამოკიდებული წინადადების ადგილი შეიძლება იყოს:

ა) კავშირი თავშია, უსწრებს მთავარს

რახანგ ჩაისმენი რდგ, დიდი დინდარი ხენწეფენი, ფირქენდგ (მეგრ. 1991: 48) „რადგან ჩაისმენი იყო ძალიან მდიდარი ხელმწიფე, ფიქრობდა“.

რადგანანც ჩქიმი სქულაფე თქვანწკვმა ცოფენია, მა ირფელს ქიგეჩიებუქუ (საკ. ჩან.) „რადგან ჩემი შვილები თქვენთან ყოფილა, მე ყველაფერს მოგიყვებით“.

რახანგ თე ბოშის დიდაში მუთა წანსენი, მიდეეცონი დო... ზღვას გიოცოოთი (ყიფშიძე, 1914:47) „რადგან ამ ბიჭს დედის არაფერი სწამს (სჯერა), წაიყვანე და... ზღვაში გადააგდე“.

ბ) კავშირი მოსდევს მთავარს

ტყაშა ვემშერთუ, რადგანს დიდი მანგარი ტყა ორდუნი (ყიფშიძე, 1914: 47) „ტყეში შესვლა ვერ მოხერხდა, რადგან დიდი მანგარი ტყე იყო“.

ამდლარი დლა მიპატიებუნია, რადგან თენერი მიიხერხიე (ყიფშიძე, 1914: 39) „დღევანდელი დღე მიპატიებია, რადგან ასეთი რამ მოახერხე“.

ეფერ ჟანს ქემერთე თე ცირაქ თაქ, მარა ე ბოშიქ დიახვთ ვეჩინ, რადგანას გაჭყორდენი (მეგრ. 1991: 194) „ასეთ ჟამს მოვიდა ეს ქალიშვილი აქ, მაგრამ ამ ბიჭმა დიახვ ვერ იცნო, რადგან დაავიწყდა“.

ძლაბი დო ბოშიქ იცხოვრეს გემუანო ბრელ ხანს, რადგანს კოჩი მითენი ვაწუხენდუნი (საკ. ჩან.) „გოგომ და ბიჭმა იცხოვრეს ტკბილად დიდხანს, რადგანაც არავი აწუხებდათ“.

გ) კავშირი მთავარი წინადადების წევრებს შუა

გამეთხუ ჩირსგ, რადგან სიცოცხლეს ვეელიდენი, დო გიმილუ (მეგრ. 1991: 24) „გამოეთხოვა ცოლს, რადგან გადარჩენას („სიცოცხლეს“) არ ელოდა, და გავიდა“.

ე ხანი დო ანბეე შქას გიშეელე წანმოწანაქე დო, რახან ვაძირესგ დორთელი - დიდა - მუმაქ მუშ გერიანი, ქიგიაყუნესგ... (მეგრ. 1991: 24) „იმ ხნიდან, რაც ეს ამბავი მოდა, (ზედ. „ამ ხანსა და ამბავს შორის“) გავიდა ერთი წელიწადი და, რადგან ვერ ნახეს მშობლებმა დაბრუნებული თავისი გერია, გაუდგნენ - გზას“ (ზედმ. „კვალს მიყვნენ“).

ი. ყიფშიძის მიხედვით, так как „რადგან“ მნიშვნელობითი მეგრულში დასტურდება: რადგან, რადან, რადანგ, რახანგ, რახანო... რახან (მითითებულია, რომ ესენია ქართული, ო.) (ყიფშიძე, 1914: 303).

მეგრულში გვხვდება ისეთივე ვითარება, რაც ჭანურში დასტურდება: **რადგანაც** კავშირის გასაძლიერებლად -ნი-ც წარმოდგენილია (-ნა ჭანურში):

რადგანს დიდი მანგარ ტყა ორდუ-ნი ზედმ. „რადგან რომ დიდი მაგარი ტყე იყო“.

რადგანას გაჭყორდგ-ნი „რადგან რომ დაავიწყდა“.

რადან სიცოცხლეს ვეელიდგ-ნი „რადგან რომ გადარჩენას („სიცოცხლეს“ არ ელოდა“.

შდრ. ჭანური:

მზოლა დიდი-ნა, რენ-შენი „ზღვა რადგანაც დიდა“; ზედმ. „ზღვა რადგანაც რომ დიდა“.

დიდო-ნა აშქუინტუ-შენი „რადგანაც რომ ძალზე“ (ზედმ. „დიდად“) ეშინოდა“ და სხვა.

მაშასადამე, მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება ზანურში ასეა აგებული:

ა) მეგრული იყენებს ქართულიდან შეთვისებულ სპეციალურ კავშირებს (ფონეტიკურად ზოგჯერ განსხვავებული) -**რადგან...** და მისთანებს;

ბ) ჭანურისათვის ამ მნიშვნელობით ჭანური -**შენი** ნაწილაკია.

ორსავე დიალექტში საერთოა „რადგან“-ისა და „-შენი“-ს გაძლიერება-ნი (მეგრ.), -ნა (ჭან.) ნაწილაკებით.

ეს კი იმაზე უნდა მიგვანიშნებდეს, რომ -ნი და -ნა გამოიყენებოდა ადრე **რადგან** კავშირის ფუნქციით, ხოლო შემდგომ მეგრულმა ისესხა ქართულიდან სათანადო კავშირი, ხოლო ჭანურში ეს ვერ მოხერხდა და მან ამის საკომპენსაციოდ -**შენი** ნაწილაკი აირჩია.

-**შენი** ცხადია გამოსაყოფია ჭან. მუშენი „რატომ“, „რისთვის“ ზმნისართში. ნ. მარი თავის „ჭანურ-რუსულ ლექსიკონში“ **მუშენი** - ფორმას აგზავნის მუ „რა“ ნაცვალსახელთან (მარი, 1910: 170-171). მაშასადამე, მუ-შენი...

მეგრულშიცაა -**შენი** გამოსაყოფი ზმნისართებში მი-შენი „ვისთვის“, თი-შენი „მისთვის“.

თიშენი 1. „ამიტომაც“; 2. „რადგანაც“, „იმიტომ რომ“... (ყიფშიძე, 1914: 447), „მისთვის“ (შდრ. თი „ის“), მიშენი „ვისთვის“ (შდრ. მი, მინ „ვინ“) ი. ყიფშიძე მიუთითებს **მი-შე** „ვისგან“, მი-შა „ვისკენ“ და სხვ. (ყიფშიძე, 1914:280), სადაც -**შე** დაშორ. ბრუნვის ნიშანია, ხოლო -**შა** - მიმართულებითისა.

ცხადია, -**შენი** შეიძლება დაიშალოს, სადაც -**შე** დაშორ. ბრუნვის ნიშანია, ნ. მარის და ი. ყიფშიძის მიხედვით отложительный падеж (მარი, 1910:16; ყიფშიძე, 1914: 202), ხოლო -**ნი** კი „რომ“ კავშირის წარმოადგენს“ (მარტიროსოვი, 1964: 276).

შემთხვევითი არაა, რომ -**შენი** მორფემიანი დამოკიდებული წინადადება (მნიშვნელობით „რადგანაც“) ამ კავშირის გასაძლიერებლად იყენებს -ნი (მეგრ.) -სა და -ნა (ჭან.)-ს „რომ“ კავშირის მნიშვნელობით (ნიმუშები იხ. ზემოთ), ე.ი. ფაქტობრივ ხდება -ნი-ს განმეორება.

მთლიანად „**შე-ნი** კომპონენტს მიუღია კავშირ-ნაწილაკის ფუნქცია. ქართ. **რადგანაც** კავშირის ტოლფარდი“ - ჭან. ბერე კითხერი-ნა ტუ-შენი, ფურუნჯის ვა მადერდინუ „რადგანაც ბავშვი ნასწავლი იყო, მეფურნემ ვერ მოატყუა“ (როგავა, 1987:47). კითხერი-ნა და ტუ-შე-ნი-ს -ნა და -ნი ფუნქციურად ერთია, ამდენად აქ განმეორებაა. ესაა ტოლფასი სიტყვის განმეორებისა, რაც ასე ხშირია უდამწერლობო ენაში „...რომელიც განსაკუთრებით მდიდარია სინტაქსურ კონსტრუქციათა ვარიანტულობით“ (ჩხუბიანაშვილი, 1991: 117). ყინი-ტა-ში თვირი მთვა-ში, ღორმა მუში მუთე მენმგიფუმ (ჩიქობავა, 1936:92) „როცა სიცივე იქნება, როცა თოვლს დადებს, ხვრელს (სკაში) რით დაგმანავ?“ აქ უკვე-ში-ს განმეორებაა.

სიტყვის განმეორებაზე მიუთითებენ ზანურის ენობრივ მასალაზეც (ლემონჯავა, 1996:91). ეს მოსალოდნელია იმიტომ, რომ „გაბმულ ტექსტში (მეტყველებაში) გარკვეული

დროის შემდეგ ხდება მოცემულის გამეორება, რადგან მეტყველი ფიქრობს, რომ მსმენელმა უკვე დაივიწყა თავისი ნათქვამი და ცდილობს აღადგინოს იგი მსმენელის მეხსიერებაში (ენუქიძე, 1987: 121).

გ. როგავას აზრით კი, **-შენი** მორფემიანი ზმნისართები (მუშენი „რატომ“ (ჭან.) მიშენი „ვისთვის“, თიშენი „მისთვის“ - მეგრ.) „მიღებულია **-ნი** კავშირ-ნაწილაკიანი დამოკიდებული წინადადების გამარტივების ნიადაგზე -მუშე-ნი („რატომ“)←-მუ-შე-რე-ნი („რისთვის რომ არის“), მიშე-ნი (ვისთვის)←-მი-შე-რე-ნი „ვისთვისაც რომ არის“, თიშე-ნი („ვისთვის“)←-თი-შე-რე-ნი „მისთვისაც რომ არის“ (როგავა, 1987: 47).

მეგრ. ცირა-შენი „ქალიშვილის შესახებ“, ჭან. თომა-შენი „თმის შესახებ“ ფორმებშიც **-ნი**-ს გამოყოფენ თანდებულად, „სინამდვილეში კი, ჩვენ აქაც გვაქვს საქმე იმავე დამოკიდებული წინადადების გამარტივებულ სახეობასთან: მეგრ. ცირა-შე-ნი („ქალიშვილის შესახებ“, „ქალიშვილზე“). ცირაშე-რე-ნი „ქალიშვილის შესახებ რომ არის“, უკეთ, თანდებულად ბრუნვის ფორმისაგან - მეგრ. ცირაშე („ქალიშვილისაგან“) იწარმოება ცირა-შე-რე-ნი („ქალიშვილისაგან რომ არის ის“)→ცირა-შე-ნი „ქალიშვილის შესახებ“, ჭან. ბერე-შე („ბიჭისაგან“)→ბერე-შე-რე-ნი („ბიჭისაგან რომ არის“)→ბერე-შე-ნი „ბიჭის შესახებ“.

დასკვნა. ამგვარად, ცირა-შე-ნი, ბერე-შე-ნი ფორმაში **-ნი** კავშირ-ნაწილაკია და არა თანდებული. თანდებულის ფუნქციას ამ ფორმაში ცირა-შე (ნი) ასრულებს ე კომპონენტი - ცირა-შე-ე „ქალიშვილისაგან“, შდრ. ცირა-შ-ა „ქალიშვილთან“... (როგავა, 1987: 47).

ამდენად, **-ნი** „რომ“ კავშირია თუ კავშირ-ნაწილაკი, ერთი ცხადია, ის გამოიყოფა მისი წინამავალი **-შე-ე**-საგან (-შენი) და ორივე დიალექტისათვის -მეგრულისა და ჭანურისათვის - საერთოა.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

- ახესაძე, ნ. (1965). ჰიპოტაქსის წევრ-კავშირები და კავშირები მეგრულში. *თსუ-ს შრომები*. ტ. 114. თბილისი.
- ენუქიძე, ლ. (1987). *ძირითადი სინტაქსური თეორიები საზღვარგარეთის ენათმეცნიერებაში*. თბილისი.
- ლემონჯავა, ბ. (1996). სიტყვის გამეორება ზანური ენის შერწყმულ წინადადებაში. *ქესს*. VI. თბილისი.
- მარტიროსოვი, ა. (1964). *ნაცვალსახელი ქართველურ ენებში*. თბილისი.
- როგავა, გ. (1987). არქაული ტიპის ჰიპოტაქსის გადმონაშთები ქართველურ ენებში. *იკე*. XXVI. თბილისი.
- ქუთელია, ნ. (2005). *ლაზურის ფონემატური სტრუქტურა*. თბილისი.
- ჩიქობავა, არნ. (1936). *ჭანურის გრამატიკული ანალიზი ტექსტებითურთ*. თბილისი.
- ჩიქობავა, არნ. (1938). *მეგრულ-ჭანურ-ქართული შედარებითი ლექსიკონი*. თბილისი.
- ჩხუბიანიშვილი, ლ. (1991). გამეორება დიალექტურ მეტყველებაში. კრ. *დიალექტური კრებული*. თბილისი.
- Кипшидзе, И. (1914). *Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем*. С.ПВ.
- Март, Н. Я. (1910). *Грамматика чанского (лазского) языка с хрестоматией и словарем*. С.ПВ.

REFERENCES

- abesadze, n. (1965). hip'ot'aksis ts'evr-k'avshirebi da k'avshirebi megrulshi [Hypotactic Clause Connections and Conjunctions in Mingrelian]. *tsu-s shromebi [Works of TSU]*. Vol. 114. Tbilisi.
- enukidze, l. (1987). *dziritadi sint'aksuri teoriebi sazghvargaretis enatmetsnierebashi [Major Syntactic Theories in Foreign Linguistics]*. Tbilisi.
- lemonjava, b. (1996). sit'qvis gameoreba zanuri enis sherts'qmul ts'inadadebashi [Word Repetition in Mixed Zan Sentences]. *kess [KESS]*. VI. Tbilisi.
- mart'irosovi, a. (1964). *natsvalsakheli kartvelur enebshi [Pronouns in Kartvelian Languages]*. Tbilisi.
- rogava, g. (1987). arkauli t'ip'is hip'ot'aksis gadmonashtebi kartvelur enebshi [Remnants of Archaic-Type Hypotaxis in Kartvelian Languages]. *ik'e [IKE]*. XXVI. Tbilisi.
- kutelia, n. (2005). *lazuris ponemat'uri st'rukt'ura [Phonematic Structure of Laz]*. Tbilisi.
- chikobava, arn. (1936). *ch'anuris gramat'ik'uli analizi t'ekst'ebiturt [Grammatical Analysis of the Chanuri Language with Texts]*. Tbilisi.
- chikobava, arn. (1938). *megrul-ch'anur-kartuli shedarebiti leksik'oni [Comparative Lexicon of Mingrelian-Chanuri-Georgian]*. Tbilisi.
- chkhubianishvili, l. (1991). gameoreba dialekt'ur met'qvelebashi [Repetition in Dialectal Speech]. In *dialekt'uri k'rebuli [Dialectal Collection]*. Tbilisi.
- Kipshidze, I. (1914). *Grammatika mingrel'skogo (iverskogo) jazyka s hrestomatieju i slovarem [Grammar of the Mingrelian (Iverian) Language with Reader and Dictionary]*. St. Petersburg.
- Marr, N. Ja. (1910). *Grammatika chanskogo (lazskogo) jazyka s hrestomatieju i slovarem [Grammar of the Chan Language (Laz) with Reader and Dictionary]*. St. Petersburg.